

შეფასების სისტემა (ოთხ კომპონენტიანი):

1. პირველი კომპონენტი: დასწრება (კურსის განმავლობაში მაქსიმალური 3.5 ქულა, ერთი დღის დასწრებაში - 0.5 ქულა);
2. მეორე კომპონენტი: ყოველდღიური აქტივობა (კურსის განმავლობაში მაქსიმალური 28 ქულა; მაქსიმალური ერთი სასწავლო დღის განმავლობაში - 4 ქულა "საუკეთესო"; ასევე ერთი სასწავლო დღის განმავლობაში შესაძლებელი შეფასებები - 3 ქულა "ძალიან კარგი", 2 ქულა "კარგი", 1 ქულა "დამაკმაყოფილებელი");
3. მესამე კომპონენტი: კლინიკაში დამოუკიდებელი მუშაობა (მაქსიმალური შეფასება 4.5 ქულა)/მონაწილეობა არაფორმალურ დისკუსიებში (მაქსიმალური შეფასება 9 ქულა). ამდენად, ჯამში მაქსიმალური 13.5 ქულა;
4. მეოთხე კომპონენტი: კოლოკვიუმი - მაქსიმალური 15 ქულა (ტესტ-კითხვარის მიხედვით, რომელიც შეიცავს 10-10 ტესტს; ერთ ტესტზე სწორი პასუხი ფასდება 1.5 ქულით).

სწავლის შედეგი / კომპეტენციები (ცოდნა და უნარები):

სწავლის შედეგი: ალერგოლოგიასა და კლინიკურ იმუნოლოგიაში სასწავლო კურსის გავლის შემდეგ სტუდენტს აქვს საგნის თეორიული ცოდნა, აცნობიერებს მიღებულ ინფორმაციას და გააჩნია შემდგომში ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და დამოუკიდებელი დასკვნების გაკეთების უნარი, შეუძლია ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის საკითხებზე (პრობლემებზე, მათი გადაჭრის გზებზე და ა. შ.) სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ერთად მსჯელობა და სხვა. კერძოდ:

1. ბრონქული ასთმისა და სხვა გავრცელებული ალერგიული დაავადებების დიაგნოზის დასმა და მკურნალობის სწორი მიმართულებების არჩევა;
2. ეგზოგენური (ატოპიური) და ენდოგენური (არაალერგიული) ფორმის ბრონქული ასთმის დიფერენცირება;
3. ბრონქული ასთმის შეტევის კუპირება ტაქტიკური დანიშნულების პრეპარატებით (ეპინეფრინი, ხანმოკლე მოქმედების ბეტა2-აგონისტები, M-ქოლინობლოკატორები, მეთილქსანთინები), ნებულაიზერთერაპიის წარმოება;
4. პაციენტის ანაფილაქსიური შოკიდან და სხვა კრიტიკული ალერგიული მდგომარეობებიდან გამოყვანა პირველი რიგის პრეპარატებით და სხვა საშუალებებით;
5. კანის (ეპი- და ინტრაკუტანური), პროვოკაციული და იმუნოლოგიური (ალერგოდიაგნოსტიკა ინ ვიტრო) სინჯების წარმოება და ინტერპრეტაცია;
6. ინფუზიური თერაპიის, სწრაფი და შემანარჩუნებელი ეუფილინიზაციის წარმოება (პაციენტის წონის, ასაკის, ნიკოტინის მოხმარების, გულის, ღვიძლის უკმარისობისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით);

7. ჭეშმარიტი და ფსევდოალერგიული რეაქციების დიფერენცირება;
8. კვლევის პნევმოტაქომეტრიული, სპიროგრაფიული მეთოდების, პიკ-ფლოუმეტრიის წარმოება და ინტერპრეტაცია;
9. ორსულებში ანთიალერგიული პრეპარატების გამოყენება FDA-ის რეკომენდაციების გათვალისწინებით;
10. სხვადასხვა იმუნოდეფიციტური მდგომარეობების განსაზღვრა, კვლევების მიმართულებების და მკურნალობის სწორი ტაქტიკის არჩევა.